ინტეგრირებული გაკვეთილის რეფლექსია

2021 წლის 24 მარტი მე-12 კლასში ჩავატარე სამოდელო - ინტეგრირებული გაკვეთილი გერმანულ ენასა და ისტორიაში თემაზე - " Geschichte". საგანთა შორის ინტეგრაციის მიზები გახდა ისტორიული შინაარსის დიდი ტექსტი, რათა მოსწავლეებს საშუალება მისცემოდათ მისთვის შეეხედათ სხვა კუთხით, რაც გაუადვილებდათ მათ საკითხის უკეთ შეცნობას და საგანთა შორის კავშირის დამყარებით მოახდენდნენ ცოდნის ტრანსფერს. გაკვეთი;ი აქტუალობა გამომდინარეობს იქედან, რომ მოსწავლეები შეხედავენ მოცემულ თემას, მოვლენებს სხვა კუთხით, რაც გაუადვილებთ მათ საკითხის უკეთ შეცნობას და საგანთა შორის კავშირის დამყარებით მოახდენენ ცოდნის ტრანსფერს. უნარების ერთი სფეროდან მეორეში გადატანა ხელს შეუწყობს მათ შესაბამისი შედეგების მიღწევაში.

გაკვეთილის მიზანი იყო: მოსწავლეები შეძლებენ უცხო ისტორიულ ტექსტში მთავარი საკითხებისა და ფაქტობრივი ინფორმაციის ამოცნობას და დააკავშირებენ მას ისტორიის გაკვეთილზე მიღებულ ცოდნასთან, ორ საგანს შორის კავშირის დამყარებით გამოიტანენ სწორ დასკვნებს ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით და შეასრულებენ სხვადასხვა დავალებას მოცემულ თემასთან დაკავშირებით.

მიმაჩნია, რომ გაკვეთილზე დასახული მიზნები შეიძლება ჩაითვალოს მიღწეულად. უნარების ერთი სფეროდან მეორეში გადატანამ ხელი შეუწყო მოსწავლეებს შესაბამისი შედეგების მიღწევაში, რადგან მოსწავლეებმა შეძლეს ისტორიის გაგაკვეთიზე მიღებული ცოდნით ამოეცნოთ უცხო ტექსტის მთავარი საკითხები, ფაქტობრივი ინფორმაცია, უცხო სიტყვები და გამოეტანათ სწორი დასკვნები ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით.

გაკვეთილი მთლიანობაში საინტერესოდ და სახალისოდ წარიმართა, დაინტერესება გამოიწვია ფოტოკოლოჟმა და ვიდეო რესურსმა, მოისმინეს გერმანიის ჰიმნი, ნახეს გერმანიის ღირსშესანიშნაობები და ისტორიული მოვლენები, შეასრულეს სხვადასხავა დავალებები მოცემულ თემასთან დაკავშირებით.

ჩემი აზრით, კოლეგებმა გეგმის მოდიფიცირების შედეგად გაკვეთილი შეიძლება ჩაატარონ სხვა საგნებშიც. ვფიქრობ რომ ჩემი და ჩემი კოლეგების პრაქტიკაში გახშირდება მსგავსი ტიპის გაკვეთილები, რადგან ინტეგრირებული გაკვეთილები განსაკუთრებით ზრდის მოსწავლის მოტივაციას. მოსწავლე ჩართულია აქტიურ სწავლაში, რის შედეგადაც სწავლა მისთვის უფრო საინტერესო და სახალისო ხდება. ასევე ხელს უწყობს სინთეზური აზროვნების განვითარებას.

ვთვლი, რომ ყველაზე წარმატებული აქტივობა ჯგუფური მუშაობა და პრეზენტაცია იყო, რადგან მოსწავლეებმა დამოუკიდებლად, საკმაოდ მონდომებით დაამუშავეს ტექსტი და წარმოადგინეს ის.

გაკვეთილი ძირითადად გეგმის მიხედვით წარიმართა, მხოლოდ ბოლო აქტივობა -„ჯაჭვური თამაში" შევცვალე, რადგან ეს აქტივობა თითოეული

მოსწავლის ჩართვას მოითხოვდა საკუთარი განწყობის გამოსახატავად. დროის სიმცირის გამო მე მხოლოდ რამდენიმე მოსწავლეს, სურვილის მიხედვით გამოვათქმევინე აზრი.

მიმაჩნია, რომ უკეთესი იქნებოდა ყველა მოსწავლე თანაბრად ჩართული ყოფილიყო საგაკვეთილო პროცესში და მეტად ეაქტიურათ მათ. მომდევნო გაკვეთილის დაგეგმვისას გავითვალისწინებ, რომ მოსწავლეები მეტად გავააქტიურო და ჩავრთო საგაკვეთილო პროცესში, ასევე განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო თითოეული აქტივობისთვის საჭირო დროს.

გერმანული ენის მასწავლებელი: თამარ ჩუბინიძე